შპს „სოფმარ 2020“

ს/კ 415107379
ქ.ფოთი,თავისუფალი ინდ.ზონა,
(ნავსადგურის ყოფილი ექსტენსიური
განვითარების ზონა)
შიდა № 1B-7T/421

№2/2020
27.08.2020

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის
მინისტრს ბ-ნ ლევან დავითაშვილს

მოგესალმებით ბატონო ლევან.

კომპანია „სოფმარ 2020“-ის ხელმძღვანელობა თვლის, რომ საჭიროა დამატებითი განმარტების შეტანა იმ სიტუაციაში, რომელიც ჩამოყალიბდა ჩვენს ბიზნეს პროექტთან დაკავშირებით.

მოგეხსენებათ, რომ შპს „სოფმარ 2020“, აუტსორსინგის ხელშეკრულების საფუძველზე ,თანამშრომლობს უმსხვილეს საერთაშორისო სავაჭრო კომპანია “Trafigura Pte Ltd“ -თან. "Trafigura Pte Ltd"-ს ინტერესების სფეროში შედის ლითონებით, ლითონების კონცენტრატებით და ენერგეტიკული ნედლეულით ვაჭრობა რომლის ბრუნვაც მსოფლიო ბაზრის 33%-ს შეადგენს. ამასთან ერთად კომპანია მთლიანად ან წილობრივად ფლობს რამოდენიმე ტერმინალს მსოფლიოს სხვა და სხვა კუთხეში საკუთარი ტვირთბრუნვის ლოჯისტიკური მომსახურებისთვის. კომპანიის წლიური ბრუნვა ფულად ერთეულში 200 მილიარდ დოლარს აღწევს.

2020 წლის დასაწყისში კომპანია "Trafigura Pte Ltd"-მ გადაწყვიტა ერთ-ერთი ასეთი ტერმინალის მშენებლობა საქართველოში, თუმცა ამ გადაწყვეტილების მიღებამდე ბევრი სხვა შავიზღვის აუზის ქვეყანა განიხილებოდა ასეთ ადგილად. ამ გადაწყვეტილების მიღებაზე ასევე დადებითად იმოქმედა ჩვენი მთავრობის მიერ დეკლარირებულმა წარმატებებმა ბიზნესის წარმოების და ინვესტიციების მოზიდვის გამარტივების საკითხებში. ტრაფიგურას დაკვეთით ფოთის ინდუსტრიალურ ზონაში ჩვენ უნდა შევქმნათ სასაწყობე ფართი, ყველა აუცილებელი ეკოლოგიური ნორმის დაცვით, სადაც მოხდება მადნის მიღება, დაგროვება და კონტეინერებით გაგზავნა დამკვეთთან.

ანალოგიურ საქმიანობას უკვე რამოდენიმე წელია აწარმოებს ფოთში ერთერთი ადგილობრივი კომპანია.

ჩვენ ვაპირებთ იგივე საქმიანობას, იგივე ტვირთის გადაზიდვას და დასაწყობებას, იგივე საერთაშორისო სასაქონლო კოდებით, რაც ლოგიკურად უნდა გამორიცხავდეს თქვენი სპეციალისტების დამატებით კითხვებს. ვინაიდან ეს კოდები შეიცავენ ყველა ქიმიური ელემენტის დასახელებას და ამ კოდებით ხდება ტვირტბრუნვა მთელ

№13697
"31" 08 2020

მსოფლიოში (მათ შორის ჩვენს პორტებშიც). ამიტომ დეპარტამენტის დაჟინებული მოთხოვნა ჩვენი ტვირთების დამატებითი შესწავლისა, იწვევს ტრაფიგურაში გაუგებრობას. ჩვენ ვერ ვუხსნით პარტნიორებს ასეთი მიდგომის მიზეზს.

როგორც ჩანს გარემოს დაცვის სამსახურში ეჭვი ეპარებათ ტრაფიგურას თანამშრომლების კვალიფიკაციის დონესა და გამოცდილებაში, რაც აბსოლუტურად არამართებულად მიგვაჩნია.

ბატონო ლევან, კიდევ ერთხელ გამოვხატავთ თქვენდამი უღრმეს პატივსცემას და გთხოვთ, განიხილოთ ჩვენი არგუმენტაცია და მიიღოთ გადაწყვეტილება. ამით ჩვენ შევინარჩუნებთ სერიოზულ ინვესტორს და შევქმნით დამატებით სამუშაო ადგილებს.

შპს „სოფმარ 2020 "-ის დირექტორი ვახტანგ ალანია

P.S. წერილთან ერთად გიგზავნით ჩვენს მიერ სააგენტოში წარდგენილ და სააგენტოდან მიღებულ საბუთებს ქრონოლოგიურად დალაგებულ საბუთებს.

1. სკრინინგის ანგარიში და თანდართული წერილი თქვენს სახელზე.
2. პასუხი სააგენტოდან N 6387/01
3. სოფმარი 2020-ს პასუხი სააგენტოს
4. პასუხი სააგენტოდან N 7981/01